პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 12 (5562)

1976 წ. 18 იანვარი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჩვენი კონკურსი: „ინსბრუკი — XII ოლიმპიადა"

ტალონი № 4

შეკითხვები მეოთხე სერიისთვის:

1) ნორვეგიელი ივარ ფორმო 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში მესამე ეტაპზე მიდიოდა. როცა რბოლა დაამთავრა, მისი თანაგუნდელების შედეგი იყო 1:33.25,27. ნორვეგიელთა მთავარი მეტოქე სამი ეტაპის ჯამში ფორმოსთან 1.01,30-ს აგებდა. ლიდერის ესტაფეტა მეოთხე ეტაპზე ჰიარვიკენს გადაეცა, წუთზე მეტი ფორა კი ძალიან ბევრს ნიშნავდა. 10 კილომეტრზე რბენაში წუთის ანაზღაურება პრაქტიკულადაც და თეორიულადაც თითქოს შეუძლებელი იყო, მაგრამ ნორვეგიელებმა იმ დღეს ოქრო ვერ მიიღეს, ვინაიდან იმ გუნდის მეოთხე წევრმა, რომელმაც ესტაფეტა ჰიარვიკენთან შედარებით 1.01,30-ის მერე მიიღო, შეუძლებელი შეძლო და თავის კოლექტივს გამარჯვება მოუპოვა. რომელ ოლიმპიადაში მოხდა ეს, სად ჩატარდა თამაშები, ვის ეკუთვნოდა სენსაცია და რომელი ქვეყნის წარმომადგენელი იყო იგი?

2) რატომ არის ინსბრუკის 1976 წლის ზამთრის თამაშები რიგით XII, თუ „თეთრი ოლიმპიადების" ისტორია 52 წელს ითვლის, ოლიმპიადები კი ყოველ ნაკიან წელიწადს ეწყობა?

3) რომელი ქვეყნიდან იყო კლას ტუნბერგი, რომელ ოლიმპიადებში მონაწილეობდა, რა სახეობაში და რა წარმატებას მიაღწია?

4) დაგვისახელეთ მოთხილამურე, რომელმაც ერთ ოლიმპიადაში ორი გამარჯვება მოიპოვა ორ სხვადასხვა სახეობაში, რა წარმატება ჰქონდა მანამდე მას მოპოვებული?

5) ვინ იყვნენ ალენ კალმა და ლეო ლაკრუა, რით შევიდნენ ისინი ოლიმპიური თამაშების ისტორიაში?

საუკეთესო VI ადგილზეა

ლენინგრადი, 17 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კავგოლოვოში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მოზარდ მოციგავეთა შორის. შეჯიბრების მონაწილე ათი კოლექტივის სპორტსმენები ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ (1960-61 და 1958-59 წლებში დაბადებულნი). ყოველ კოლექტივს 12 სპორტსმენის გამოყვანის უფლება ჰქონდა, მაგრამ საქართველოს გუნდი მთლიანად არ იყო დაკომპლექტებული, რის გამოც საპრიზო ადგილისთვის მებრძოლთა რიგებს თავიდანვე გამოაკლდა და საბოლოოდ VII ადგილს დასჯერდა. გამარჯვება წილად ხვდა პერმის ოლქის ნაკრებს. II ადგილზე გავიდნენ ტერნოპოლელი მოციგავეები, III — ლენინგრადის სპორტსმენები.

პირად პირველობაში ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე მაღალი ადგილი მოიპოვა 1958-59 წლებში დაბადებულ გოგონათა ჯგუფში მოასპარეზე ქ. ჯეირანაშვილმა. იგი VI ადგილზე გავიდა. მისი თანაგუნდელი ქ. მაკაევა IX ადგილს დასჯერდა. პირველობა მოიპოვა თ. ეფრემოვამ (პერმის ოლქი) — 2.08,83.

ამ ასაკის ბიჭების შეჯიბრება მოიგო ტერნოპოლელმა ი. ვანასიუკმა — 2.09,09. საქართველოს გუნდის წევრები ლ. მაკაევი (2.15,07) და შ. ჩიგვარია (2.19,52) VIII და XII ადგილებზე არიან.

უმცროსი ასაკის გოგონათა შორის ყველას აჯობა ს. ტარასოვამ (პერმი) — 2.13,62. ბაკურიანელი თ. თიბილოვა VIII ადგილზეა — 2.22,59.

ამ ასაკის ბიჭების ტურნირი მოიგო ნ. კომენკოვმა (ტერნოპოლი) — 2.13,26. საქართველოს აქ წარმომადგენელი არ ჰყოლია.

ვ. ზამბახიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სამი დღის შემდეგ

ბაქოსა და კრასნოიარსკში გრძელდება უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი.

გუშინწინ გაიმართა მესამე დღის მატჩები. ბაქოში სსრ კავშირის ჩემპიონებმა — კიევის სპარტაკელებმა დაამარცხეს კაუნასის „ჟალგირისი" — 27:11. ადგილობრივი სპორტნაწარმის ფაბრიკის გუნდმა მოუგო დონის როსტოვის „როსტსელმაშს" — 22:11.

ამ ჯგუფში დაწინაურდნენ სპარტაკელები და „როსტსელმაშის" ხელბურთელები, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ, ოღონდ, ამ უკანასკნელებს — სამი შეხვედრიდან.

კრასნოიარსკში წარუმატებლად გამოდიან ადგილობრივი „ცვეტმეტის" სპორტსმენები, რომლებმაც წააგეს კიევის „მეტალურგთან" — 13:18. კიშინიოვის „დინამომ" დაამარცხა ზაპოროჟიეს ზიი — 20:15.

აქ ლიდერობენ მოსკოვის „ლუჩი" და კიშინიოვის „დინამო", რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ, ოღონდ, კიშინიოველებს — სამი თამაშიდან.

ხელბურთი

გუშინ თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატები. თავი ისახელეს მაია ჩიბურდანიძემ, გ. კასპაროვმა (აზერბაიჯანი) და ზ. სტურუამ.

* * *

სურათებზე ზევით—სსრ კავშირის ახალგაზრდა მოჭადრაკეთა უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი ა. ნიხოვსკი (მოსკოვი) გამარჯვებას ულოცავს მაიას; ქვემოთ — გ. კასპაროვი (მარცხნივ) და ზ. სტურუა.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

●

(მასალა მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატების შესახებ იხ. მე-4 გვ.).

კალეიდოსკოპი

ბერლინი, 16 იანვარი. ადგილობრივი „შპორტფორუმის" სარბენელზე გდრ-ის მოწინავე მძლეოსანთა ასპარეზობისას ნოიბრანდენბურგელმა სტუდენტმა, 22 წლის ელფი ცინმა დარბაზებისთვის 800 მეტრზე რბენაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 2.01,4. ეს შედეგი 0,4 წამით სჯობს მერი დეკერის (აშშ) უწინდელ რეკორდს.

კალეიდოსკოპი

სურათებზე: თბილისის სპორტის სასახლეში მინი-ფეხბურთში გამართულ საქალაქთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივი; „ნედელიას" წარმომადგენელი ი. ცერკოვერი ტურნირის მთავარ პრიზს გადასცემს ქუთაისელთა კაპიტანს რ. ჩოხონელიძეს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

●

(ამ ტურნირისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელო“ [illegible]...

თბილისის სტადიონებზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდების „ივერიისა“ და „ლოკომოტივის“ მონაწილეობით რამდენიმეჯერ დავესწარით საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს და დავრწმუნდით, რომ რეგბი მართლაც ძალიან ვაჟკაცური, საინტერესო სახეობა ყოფილა. გთხოვთ მოკლედ მაინც გაგვაცნოთ ამ თამაშის არსი, რეგბის ისტორია, მისი განვითარების გზები საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში.

გ. კუპრავა, გ. ყუბანეიშვილი, ქ. ქვარცხავა (წყელა — თბილისი), **მ. ლოსაბერიძე, გ. ნაცვლიშვილი** (ორივე — ქუთაისი).

2. რას წარმოადგენს რეგბი?

რეგბის ორიგინალობა და სილამაზე კოლექტიურ ძალისმიერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებაშია, რომელსაც ვერც ერთ სხვა თამაშში ვერ ნახავთ. ზოგიერთ გულშემატკივარს რომ ჰკითხოთ, სპორტის რომელ სახეობაში უფრო გამოიყენება ძალისმიერი ილეთები, უყოყმანოდ გიპასუხებთ — ჰოკეიშიო. მაგრამ მისი აზრი მცდარი იქნება. ჰოკეისტმა თავისუფალი ჭიდაობის ილეთებს რომ მიმართოს, მას მსაჯის სასტვენი მყისვე შეაჩერებს, რეგბიში კი შეიძლება გამოიყენო „ქვედა ტაცი“, „წელში ტაცი“ და სხვა... რეგბის შერკინება — კოლექტიური ძალისმიერი ურთიერთბრძოლა ჰოკეიში საერთოდ არ არსებობს.

მაგრამ რეგბის თავისებურებებს მარტო ძალისმიერი ილეთები როდი შეადგენს. რეგბი—ეს არის სპორტის რამდენიმე სახეობის სინთეზი. მხოლოდ აქ შეიძლება ერთდროულად ითამაშო ხელითაც და ფეხითაც, მხოლოდ აქ შეიძლება იხილო კალათბურთის ფინტები და ხელბურთისთვის დამახასიათებელი გადაწოდება, სპრინტერისა თუ სტაიერის რბენა, კარში ფეხბურთელისებური დარტყმები, მოჭიდავის ილეთები...

არც ერთი სხვა თამაში ასე არ გამოირჩევა კოლექტივიზმით. თუ, მაგალითად, ფეხბურთელს ან ჰოკეისტს შეუძლია მარტო მოატყუოს მეტოქე და მისი კარისკენ გაიჭრას, რეგბიში კი, ამის გარდა, დიდი უპირატესობა ენიჭება კოლექტიურ შეტევას — „მარაოს“, როცა მოთამაშეები მეტოქის მოედანს ისე უახლოვდებიან, რომ ბურთს ერთმანეთს დიდი სისწრაფით აწვდიან უკან და მხოლოდ უკან. მოიერიშე გუნდის რომელიმე წევრის წინ გასვლა ბურთისთვის წესის დარღვევაა და „თამაშგარე“ ინიშნება.

რეგბის სათამაშო მინდორი იგივეა, რაც ფეხბურთისა, სხვაობა მხოლოდ ის გახლავთ, რომ კარის ხაზის პარალელურად 12 მეტრის დაშორებით ჩათვლის მოედნის ხაზია გავლებული. მეტოქენი თამაშის დროს ბურთიანად სწორედ ამ ჩათვლის მოედნისკენ ისწრაფიან. არც კარი ჰგავს ფეხბურთისას. რეგბის კარი რუსულ ასო Н-ს მოგვაგონებს. იგი შედგება ერთმანეთისგან 5,65 მეტრით დაშორებული ორი ძელისგან, რომლებსაც მიწის ზედაპირიდან 3 მეტრის სიმაღლეზე ზედა ძელი აერთიანებს. ვერტიკალური ძელების მინიმალური სიმაღლე 6 მეტრია, მაქსიმალური — ნებისმიერი, ვინაიდან, თამაშის წესებით, ბურთი გატანილად ითვლება, თუ იგი ამ ძელებს შუა გაივლის, მათი ნებისმიერი გაგრძელების მიუხედავად.

მინდორიც სხვანაირად იხაზება. ორივე პირითი ხაზიდან 22 მეტრზე გავლებულია ორი ხაზი. ამ და პირითს ხაზებს შორის მდებარეობს დაცვის ზონა. შუა ხაზიდან 10-10 მეტრზე ორივე მხარეს ავლებენ ხაზებს. თამაშის დაწყების ან გოლის გატანის შემდეგ თამაშის ცენტრიდან განახლების დროს დამცველი გუნდის მოთამაშეები სწორედ ამ ხაზის უკან უნდა იდგნენ.

მინდვრის მთელ სიგრძეზე გვერდითი ხაზებიდან 5 მეტრის დაშორებით ამ ხაზების პარალელურად გავლებულია წყვეტილი ხაზები — დერეფნის ხაზები.

რეგბის სათამაშო ბურთი ოვალური ფორმისაა. ბურთის გარე გარსი ოთხი ნაჭრისგან შედგება. ბურთის ღერძული სიგრძე 27-29 სანტიმეტრია, დიდი პერიმეტრი — 76-79, პატარა — 60-65, წონა — 375-425 გრამი.

ყოველ გუნდში 15 მოთამაშეა. მათი ფუნქციები ასე ნაწილდება: პირველი რვა თავდამსხმელი ანუ „შერკინების“ მოთამაშეა: 1 — პირველი ხაზის მარცხენა „ბოძი“, 2 — პირველი ხაზის ცენტრალური მოთამაშე, 3 — პირველი ხაზის მარჯვენა „ბოძი“, 4 — მეორე ხაზის მარცხენა შემკვრელი, 5 — მეორე ხაზის მარჯვენა შემკვრელი, 6 — მესამე ხაზის მარცხენა გარემარბი, 7 — მესამე ხაზის მარჯვენა გარემარბი, 8 — „შერკინების“ ჩამკეტი, მე-9 და მე-10 — ნახევარმცველები. მოთამაშეებს 11, 12, 13 და 14 ეწოდებათ სამმეოთხედელები, შესაბამისად, უკიდურესი მარცხენა, ცენტრალური მარცხენა, ცენტრალური მარჯვენა და უკიდურესი მარჯვენა. № 15 მცველი ანუ ჩამკეტია.

რეგბისტების ფორმაა ტრიკოტაჟის მაისურები და ტრუსები, ფეხბურთელების გეტრები და ბუცები. მოთამაშევალდებულია ბეჭედი და სამაჯური, თუ აქვს, მატჩის დროს მოიხსნას.

მატჩის ხანგრძლივობა 80 წუთია. მატჩი ორი ტაიმისგან შედგება. თითოეული ტაიმი 40 წუთს გრძელდება (5-წუთიანი შესვენებით), მაგრამ ზოგჯერ მატჩი 80 წუთზე მეტ ხანსაც მიმდინარეობს. საქმე ისაა, რომ მსაჯს მატჩის დამთავრების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბურთი მოედანს დატოვებს.

რეგბის რეგლამენტი ისეთივეა, როგორიც ბევრი სხვა სახეობისა. გამარჯვებისთვის გუნდს ეწერება 2 ქულა, წაგებისთვის — 0, ფრედ დამთავრებისთვის — 1.

მატჩის ანგარიში ხშირად ორნიშნა ციფრით გამოიხატება: ბურთის მეტოქის ჩათვლის მოედანზე დადებისთვის გუნდს ეწერება 4 ქულა, ამას გარდა, მეტოქის ჩათვლის მოედანზე ბურთის დამდებ გუნდს ეძლევა „ცდის“ რეალიზაციის უფლება. ამ შემთხვევაში ბურთს დებენ 22 მეტრზე იმ წერტილის პირდაპირ, სადაც იგი ჩათვლის მოედანზე იდო და ფეხის დარტყმით ცდილობენ მის გატარებას მეტოქის ძელებს შორის. რეალიზაციის გამოყენება დარტყმით 2 ქულას იძლევა. საჯარიმოს ზუსტად დარტყმა 3 ქულით ფასდება. ამდენივე ქულას იძლევა არეკნით დარტყმით ბურთის ძელებს შორის გატარება.

რეგბისტთა მატჩი იწყება ცენტრიდან ბურთზე ფეხის დარტყმით, შემდეგ მოთამაშეებს უფლება აქვთ დაიჭირონ ბურთი, დაარტყან ფეხით ნებისმიერი მიმართულებით, ატარონ ფეხით (როგორც ფეხბურთში), ბურთით ხელში ირბინონ წინ. ფეხით ტარების შემდეგ ბურთი ხელით აიღონ და მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ გაიქცნენ. შეიძლება ბურთზე დაწოლა, მეტოქე გუნდის იმ მოთამაშის დაჭერა, რომელიც ბურთს ფლობს.

ხელით ბურთის წინ მიწოდება აკრძალულია, აკრძალულია, აგრეთვე, უბურთო მეტოქისა და მოწინააღმდეგე გუნდის იმ მოთამაშის დაჭერა, რომელსაც ბურთი ფეხით მიაქვს. დაუშვებელია ბურთზე ფეხის დადგმა, მეტოქისთვის კისერში, თავში, ტანსაცმელში ხელის ჩავლება, ხელის კვრა იმ მეტოქისთვის, რომელიც ბურთის დასაუფლებლად მიდის (ამ დროს ხელის კვრა შეიძლება მხოლოდ მხარზე).

რეგბიში ბევრია ისეთი მდგომარეობა, რომელიც სპეციალური ტერმინებით აღინიშნება.

„შერკინება“ ინიშნება მაშინ, როცა მოიერიშე გუნდის წევრები ერთმანეთს ბურთს წინ გადასცემენ. აგრეთვე, სხვადასხვა სადავო შემთხვევაში, მაგალითად, როცა გუნდი უარს ამბობს საჯარიმო დარტყმის უფლებაზე. „შერკინებაში“ ყოველი გუნდიდან 7-8 მოთამაშე მონაწილეობს. ისინი ძირს იხრებიან, ერთმანეთს მხრებით ეყრდნობიან და ცდილობენ მეტოქის „შერკინების“ მოთამაშეთა ძლევით დაეუფლონ ბურთს, რომელსაც რომელიმე გუნდის ერთ-ერთი რეგბისტი „შერკინებაში“ ორი ხელით ცრუ მოძრაობის გარეშე დაუყოვნებლივ შეაგდებს. გუნდი, რომელიც „შერკინებას“ გააჭიანურებს, ჯარიმდება.

არსებობს „შერკინების“ კიდევ ორი სახე. გვერდითი ხაზიდან ბურთის მოწოდებისას ეწყობა „დერეფანი“, რომელიც ამ ხაზიდან ხუთი მეტრის დაშორებით დგება მეტოქეთა, სულ ცოტა, 2-2 სპორტსმენის მონაწილეობით. ამ დროს მეტოქენი ერთმანეთის პარალელურად მწკრივდებიან და აუტიდან მოწოდებული ბურთის დაუფლებას ცდილობენ.

რეგბისტი თამაშგარე მდგომარეობაში ითვლება იმ შემთხვევაში, როცა მასზე უკან მყოფი პარტნიორის მიერ ფეხით დარტყმულ ბურთს დაეუფლება, ან თუნდაც შეეხება მას. თამაშგარე მდგომარეობაში მყოფ სპორტსმენს ეკრძალება ითამაშოს ბურთით ან ხელი შეუშალოს მეტოქეს. მას უფლება არა აქვს მოწინააღმდეგე გუნდის წევრს, რომელიც ბურთს ელოდება, 10 მეტრზე მეტით მიუახლოვდეს. ამ წესების დამრღვევი გუნდის კარისკენ ინიშნება საჯარიმო.

საჯარიმოს დარტყმა შეუძლია გუნდის ნებისმიერ წევრს როგორც მიწიდან, ისე ხელიდან. საჯარიმო დარტყმის დროს დამნაშავე გუნდის წევრები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ 10 მეტრით დაშორდნენ დარტყმის ადგილს (თუ საჯარიმო პირით ხაზთან ინიშნება, მაშინ მეტოქენი ამ ხაზის იქით დგებიან). საჯარიმო დარტყმის ხელის შეშლისთვის მსაჯი ხელის შემშლელს აფრთხილებს ან მინდვრიდან აძევებს. თუ დამნაშავე გუნდის მოთამაშეები სწრაფად არ დაიხევენ 10 მეტრზე, მსაჯს უფლება აქვს დარტყმის ადგილი 10 მეტრით წინ გადაიტანოს. საჯარიმო დარტყმის დროს იმ გუნდის წევრები, რომელიც საჯარიმოს ურტყამს, დარტყმამდე ბურთის უკან დგანან. საჯარიმოს დარტყმა ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება, იმ გამონაკლისის გარდა, როცა არბიტრს წინასწარ ატყობინებენ, რომ კარში ურტყამენ.

რეგბი ნამდვილად ძალისმიერი, მაგრამ კეთილშობილური თამაშია. მატჩის შემდეგ დამარცხებული გუნდის წევრები ვალდებული არიან გამარჯვებულები ტაშით გააცილონ.



რეგბის კარი ასეთია.



ბურთის შემოგდება აუტიდან,



საჯარიმოს ასე ურტყამენ.

[illegible]

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

„ბურევესტნიკის“ ახალი ბაზა

პირველი შეჯიბრება, რომელიც ტაშკენტის ახალ სპორტულ ბაზაზე ჩატარდა, ჩოგბურთელთა დიდი ტურნირი იყო. კომპლექსი სტუდენტთა სპორტულ საზოგადოება „ბურევესტნიკს“ ეკუთვნის.

ჩოგბურთელთა განკარგულებაშია თოთხმეტი კორტი. აუზი იწვევს ცურვის, წყალბურთის, წყალში ხტომის მოყვარულებს. იქვე ხელბურთის მოედანიცაა.

— ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, — ამბობს კომპლექსის დირექტორი კ. ჯურაევი. — ჩვენ ბაზის გაფართოება გვაქვს განზრახული. ეწყობა მძლეოსნური ბირთვი — ხტომისა და ტყორცნის სექციებით, სარბენი ბილიკით. შერჩეულია ადგილები საჭიდაო სარბიელისთვის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებისთვის, დაპროექტებულია თამაშების დარბაზი (42×24 მეტრი).

ახალი კომპლექსი ტაშკენტის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ კვარტალში — ც-5-ში გაიხსნა. ბუნებრივია, ამ კვარტალის ნორჩი მცხოვრებნი ბაზის ხშირი სტუმრები არიან. აქ სავარჯიშოდ დადიან მეზობლად მდებარე სკოლების მოსწავლეებიც.

უფროსებისთვის ჩამოყალიბდა ჯანმრთელობის ჯგუფი.

მაგრამ, რასაკვირველია, ბაზის ბატონ-პატრონები პირველ ყოვლისა სტუდენტები არიან. აქ მეცადინეობა დაიწყეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელებმა, წყალბურთელებმა, ჩოგბურთელებმა. გათვალისწინებულია სექციების მეცადინეობანი ჩატარდეს უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის კათედრათა პროგრამების შესაბამისად.

რასაკვირველია, ახალ ბაზაზე მასობრივად ბარდება მშდ კომპლექსის ნორმატივები.

ჩოგბურთელთა ტურნირში მონაწილეობდნენ არა მარტო ტაშკენტელები, არამედ მოსკოვის, რიგის, დუშამბეს, ფრუნზეს, დონეცკის წარმომადგენლებიც. წინ ახალი ტურნირებია.

ტ. გოლუბკინა, ე. ეფიმოვი.

ტაშკენტი.

კარგი საჩუქარი

ფერგანის დოსააფელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — ახალი სპორტულ-ტექნიკური სარბიელი 20 ჰექტარზეა გადაშლილი. ავტომობილისტთა, მოტოციკლისტთა, კარტინგის ოსტატთა ავია- და ავტომოდელისტთა შეჯიბრებებს ათასობით მაყურებელი დაესწრება.

პირველი შეჯიბრება აქ მოტობურთის მოყვარულებმა გამართეს.

ფერგანა.

სპარტაკელთა კიდევ ერთი სარბიელი

მწყობრში ჩადგა ჩელიაბინსკის „სპარტაკის“ საოლქო საზოგადოების ახალი სპორტული ბაზა — თანამედროვე სტილის სამსართულიანი შენობა, რომელიც სიგრძეში თითქმის ას მეტრზეა გადაჭიმული. მისი ფასადის წინ თვალისმომჭრელად ბრწყინვალე ყინულის მინდორი სარბენი ბილიკით. მოციგურავეებსა და ფიგურისტებს აქ ვარჯიში და ასპარეზობა საღამოობითაც შეუძლიათ, რადგან საციგურაოზე საუცხოო ელექტროგანათებაა.

ახალ ბაზას აქვს სპორტული თამაშების ზონები, რინგი, სამედიცინო კონტროლისა და მასაჟის ოთახები, ფინური აბანო.

სხვა ქალაქებიდან ჩამოსულებისთვის მუშაობს სასტუმრო.

ჩელიაბინსკი.

გასაბერი... მანეჟი

პანევეჟისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის სტადიონის ტერიტორიაზე უჩვეულო ფორმის უზარმაზარი კარავი აღიმართა. ესაა გასაბერი მძლეოსნური მანეჟი.

ლიტველი სპეციალისტები ამგვარი ბაზების დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის გამოცდილებას ეცნობოდნენ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიაში, სადაც, სხვათა შორის, ნახეს გასაბერი... ტრეკიც.

ს. ვაინტრაუბასი.

ვილნიუსი.

სახალხო მშენებლობის მეთოდით

მოსკოვის ოლქის რუზის რაიონის მუშათა დაბა ტუჩკოვოში, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში სახალხო მშენებლობის მეთოდით აიგო ფიზკულტურის სახლი.

ასეთი ბაზა ბევრ ქალაქს შეშურდება. იგი აიგო ნოვოსიბირსკის ფიზკულტურის ინსტიტუტში დამუშავებული პროექტის მიხედვით. ფიზკულტურის სახლს აქვს საუცხოო სპორტული დარბაზი, ოთახები სექციებისთვის.

სპორტულ სექციებში ასობით ახალგაზრდა მუშა და მოზარდი მეცადინეობს. აქ სავარჯიშოდ ჩამოდიან მეზობელი დასახლებული პუნქტებიდანაც. ფიზკულტურის სახლში უკვე ჩატარდა საოლქო და რესპუბლიკური შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, კრივში, ძალოსნობაში. ახლახან იასპარეზეს მოსკოვის ოლქის საუკეთესო ძალოსნებმა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ კურენცოვი.

დაბა ტუჩკოვო,
მოსკოვის ოლქი.

თოვლის ციხესიმაგრის მცველები და... საკუთარი ჯანმრთელობის მჭედლები.

საკდესის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის „ტორპედოს“ წარმატება

ყოველკვირეული გამოშვება „ნედელიას“ პრიზზე მინი-ფეხბურთის თბილისის ტურნირის ბოლო ტურის წინ საინტერესო ვითარება შეიქმნა: I ადგილის დაკავების შანსი არსებითად შერჩენილი ჰქონდა სამ გუნდს: ქუთაისის „ტორპედოს“, ბაქოს „ნეფთჩის“ და თბილისის „დინამოს“. მხოლოდ ერთი მონაწილე იყო დარჩენილი ამ პერსპექტივის გარეშე — ერევნის „არარატი“.

და სწორედ ამ „განწირულმა“ გუნდმა გამოიღო ხელი ბოლო მატჩში. ერევნელებმა დიდი აღმავლობით ითამაშეს „ნეფთჩის“ წინააღმდეგ და ფინალში გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურეს მას ანგარიშით 4:1 გამარჯვების შემდეგ. მართალია, დაწინაურება ბაქოელებმა შეძლეს (უზბეკოვი), მაგრამ გოლი გაქვითა ოგანესიანმა, მერე კი ს. პეტროსიანმა, მინასიანმა და იმავე ოგანესიანმა კიდევ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი.

ტურნირის ფინიშზე საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: ქუთაისის „ტორპედოს“ 3 ქულა ჰქონდა, თბილისის „დინამოს“ — 2. ტორპედოელებს ფრეც ჰყოფნიდათ ფინალში გასასვლელად, დინამოელებს კი ამავე ამოცანის შესასრულებლად მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ. ესე იგი, მათს მატჩში ჩიტი ბდღვნად ღირდა.

სპორტის სასახლის სავსე ტრიბუნების წინაშე გუნდები ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ: „ტორპედო“ — გაბელია, სალუქვაძე, ქოხონელიძე, ფარულავა, შენგელია (მათს გარდა, ითამაშეს ბურკაძემ, შელიამ, ქვირიამ); „დინამო“ — იმნაძე, ხიზანიშვილი, გუცაევი, გ. მაჩაიძე, წერეთელი (შემცვლელები — დარასელია, ესებუა, კოპალეიშვილი). მსაჯობდა. გ. ყრუაშვილი.

ქუთაისელებს დასაწყისში ორჯერ მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, როცა შენგელიას დარტყმული ბურთები სულ ოდნავ ასცდა მიზანს. მე-6 წუთზე კი მაჩაიძემ საკმაოდ შორიდან შეძლო ზუსტად დაერტყა კარში — 1:0.

ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა. დინამოელები კიდევ ორჯერ გადაურჩნენ სახიფათო მომენტებს, ძელს მოხვდა გუცაევის დარტყმული ბურთი, ხოლო 22-ე წუთზე შენგელიამ მაინც შეძლო საპასუხო გოლის გატანა. ეს გოლი ტორპედოელთათვის საერთო წარმატების გარკვეული გარანტია იყო, მაგრამ, როცა ბურკაძემ 41-ე წუთზე კიდევ ერთხელ აიძულა იმნაძე ბადიდან გამოეტანა ბურთი, შეხვედრის ბედიც გადაწყდა. „ტორპედომ“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:1 და ტურნირიც მოიგო.

საბოლოოდ, ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: „ტორპედო“, „ნეფთჩი“, „დინამო“, „არარატი“. „ნედელიას“ წარმომადგენელმა ე. ცერკოვერმა ყველა მონაწილე გუნდს გადასცა სამახსოვრო თასები, ხოლო ქუთაისელებს — მთავარი პრიზი, დიპლომები, აგრეთვე, ჯილდო, როგორც ყველაზე ტექნიკურ გუნდს.

ტურნირის საუკეთესო მცველებად მიჩნეული არიან ო. გაბელია და ბაქოელი ო. რომენსკი, საუკეთესო თავდამსხმელად — გ. გუცაევი, გამთამაშებლად — ბ. ფარულავა. საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მიიღო ზ. წერეთელმა, ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშისა — ერევნელმა რ. კალაჯიანმა.

შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისთვის „ნედელიამ“ დიპლომით დააჯილდოვა თბილისის სპორტის სასახლის დირექცია.

ქუთაისის „ტორპედო“ მონაწილეობას მიიღებს მინი-ფეხბურთის საერთაშორისო ფინალურ ტურნირში, რომელიც მოსკოვის სპორტის სასახლეში ჩატარდება 25 იანვრიდან 31 იანვრამდე.

• • •

16 იანვარს დაიწყო ტურნირი მოსკოვის ჯგუფში. „სპარტაკმა“ მოუგო ცსკა-ს — 5:3, ხოლო „დინამომ“ — „ტორპედოს“ — 5:4.

თ. ჯოგაავა.

• • •

სურათებზე (ზევიდან): ერევნის „არარატისა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ შეხვედრის მომენტი; გადამწყვეტი მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

• •

მეგობრული შარჟები

გ. ფირცხალავას ნახატები.



ბ. ფარულავა („ტორპედო“)



ე. აბახოვი („ნეფთჩი“)



ვ. გუცაევი („დინამო“)



ხ. ოგანესიანი („არარატი“)



რ. შენგელია („ტორპედო“)

მსოფლიო რეკორდები

ველოსპორტი

მდგომარეობა 18 იანვრისთვის

მანძილი	დრო	სპორტსმენი და ქვეყანა	დამყარების წელი
		ქალები	
200 მ სვლით	12,30	ლ. რაზუვაევა (სსრ კავშირი)	1955
500 მ სვლით	32,80	ლ. რაზუვაევა (სსრ კავშირი)	1955
1 კმ სვლით	1.12,90	ლ. ბროვინა (სსრ კავშირი)	1955
1 კმ ადგილიდან	1.15,10	ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი)	1966
3 კმ ადგილიდან	3.52,50	თ. გარკუშინა (სსრ კავშირი)	1974
5 კმ ადგილიდან	7.00,10	მ. კრესარი (იტალია)	1972
10 კმ ადგილიდან	14.19,90	მ. კრესარი (იტალია)	1972
20 კმ ადგილიდან	28.51,40	მ. კრესარი (იტალია)	1972
100 კმ ადგილიდან	2:41.32,60	მ. კრესარი (იტალია)	1974
1 საათი ადგილიდან	41.471,74	მ. კრესარი (იტალია)	1972
		ვაჟები	
200 მ სვლით	10,61	ო. ფხაკაძე (სსრ კავშირი)	1967
500 მ სვლით	27,85	პ. ტრანტენი (საფრანგეთი)	1967
1 კმ სვლით	1.01,14	ლ. ბორგეტი (იტალია)	1967
1 კმ ადგილიდან	1.04,49	ნ. ფრედბორგი (დანია)	1973
4 კმ ადგილიდან	4.45,25	ი. ლუნდი (დანია)	1972
5 კმ ადგილიდან	6.00,30	ი. ლუნდი (დანია)	1972
10 კმ ადგილიდან	12.21,30	ი. ლუნდი (დანია)	1972
20 კმ ადგილიდან	25.00,50	მ. ფრეი (დანია)	1969
100 კმ ადგილიდან	2:18.43,60	ი. ლუნდი (დანია)	1971
1 საათი ადგილიდან	47.553,24	მ. როდრიგესი (კოლუმბია)	1970
4 კმ გამოდევნებით გუნდური რბოლა	4.15,76	გფრ	1968

ნორჩები კოხტაგორაზე

ბაკურიანში დადგა წლევანდელი ზამთრის სპორტული სეზონის გადამწყვეტი სტარტების დრო — ხვალ დაიწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო რბოლებში. სამშაბათს ასეთსავე ტურნირში ჩაებმებიან ბიატლონისტები, 23 იანვარს კი სარბიელზე გავლენ ორჭიდელები და „მფრინავი მოთხილამურეები“. ისინი სამ დღეს იბრძოლებენ თასებისთვის.

სულ რაღაც ერთ კვირაში ოთხი ასეთი დიდი ტურნირის ჩატარება ბაკურიანს ძნელი გამოცდის წინაშე აყენებს, მით უმეტეს, რომ ეს შეჯიბრებები მარტო საბჭოთა კავშირის თასების გათამაშება კი არა, უკანასკნელი ცდაც არის სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში ადგილების მოპოვებისა. სწორედ აქ, ბაკურიანში უნდა გაიცეს ინსბრუკის ყველა საგზური.

გადამწყვეტი სტარტებისთვის აქ უკვე შეგროვდა ქვეყნის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრები გუნდების 300-ზე მეტი მოთხილამურე, რომელთა შორის არიან სსრ კავშირის ნაკრების წევრები და ოლიმპიური გუნდების კანდიდატები. მათთვის აქ წვრთნის ყველა პირობაა შექმნილი. ბაკურიანის სპორტნაგებობათა კომბინატის კოლექტივს ტრასები, ბაზები გამზადებული აქვს (წლევანდელ ზამთარში თოვლიც უხვად არის).

მაგრამ, ვიდრე ეს შეჯიბრებები გაიმართებოდეს, ბაკურიანი უფრო პატარა მასშტაბის ასპარეზობებს დაეთმო: მოსწავლეთა არდადეგების დღეებში კოხტაგორაზე ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა პირადი პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში, 14 იანვარს კი რბოლებში ბაკურიანის თასი გათამაშდა. ვაჟები 12 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საპრიზო ადგილები დაიკავეს ნ. ბაჟუკოვმა (შეიარაღებული ძალები) — 42.55, ი. სკობოვმა — 43.14, და ა. სუსლოვმა (ორივე — „ტრუდი“) — 43.24.

რაც შეეხება მოსწავლეთა შეჯიბრებას სამთო-სათხილამურო სპორტში, აქ გამარჯვებისთვის თბილისის პიონერთა სასახლისა და ბაკურიანის „დინამოს“ სპორტსკოლის აღსაზრდელები იბრძოდნენ. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა (1960-61 და 1962-63 წლებში დაბადებულები). ყველაზე კარგად იასპარეზა თბილისელმა ჯ. ფხაკაძემ, რომელმაც უმცროსი ასაკის ბიჭების სამივე შეჯიბრება მოიგო. ამავე ასაკის გოგონებში ასევე სამი საპრიზო ადგილი მოიპოვა ბაკურიანელმა მ. ჯიჭოევამ.

მოსწავლეთა შეჯიბრების ტექნიკური შედეგები ასეთია:

სპეციალური სლალომი. გოგონები. უმცროსი ასაკი. ნ. ბანდური — 1.17,0, მ. ჯიჭოევა — 1.24,4, ფ. ფანჯაკიძე — 1.30,0. **უფროსი ასაკი.** ქ. გოგოლაძე — 1.23,2, ა. სავლოხოვა — 1.28,1, ნ. ბანდური (ყველა — ბაკურიანი) — 1.51,7. **ბიჭები. უმცროსი ასაკი.** ჯ. ფხაკაძე — 1.01,1, ი. შუბაშვილი (ორივე — თბილისი) — 1.10,3, ა. ჯანგობეგოვი (ბაკურიანი) — 1.15,9. **უფროსი ასაკი.** ქ. იაშვილი (თბილისი) — 1.05,6, ს. პეტროსიანი (ბაკურიანი) — 1.08,0, ზ. იაშვილი (თბილისი) — 1.08,0.

სწრაფდაშვება. გოგონები. უმცროსი ასაკი. მ. ჯიჭოევა — 1.01,1, ქ. მესხიშვილი (თბილისი) — 1.02,2, ფ. ფანჯაკიძე — 1.10,0. **უფროსი ასაკი.** მ. ბანდური (ბაკურიანი) — 1.01,0, ნ. ბანდური — 1.18,9, ნ. ბუძიშვილი (ბაკურიანი) — 1.22,5. **ბიჭები. უმცროსი ასაკი.** ფხაკაძე — 59,9, შუბაშვილი — 1,01,5, მ. ჯიჭოევი — 1. 06,0. **უფროსი ასაკი.** ი. თუშურაშვილი — 1.01,7, ი. ქართველიშვილი — 1.02,3, ქ. იაშვილი (ყველა — თბილისი) — 1.03,0.

გიგანტური სლალომი. გოგონები. უმცროსი ასაკი. მესხიშვილი — 1.07,5, მ. ჯიჭოევა — 1.09,8, მ. მიქაბერიძე (ბაკურიანი) — 1.15,0. **უფროსი ასაკი.** მ. ბანდური — 1.12,3, ნ. ბანდური — 1,20,0, სავლოხოვა — 1.36,5. **ბიჭები. უმცროსი ასაკი.** ფხაკაძე — 1.06,3, შუბაშვილი — 1.08,0, გ. ქართველიშვილი (თბილისი) — 1.08,8. **უფროსი ასაკი.** პეტროსიანი — 1.07,8, ი. ქართველიშვილი — 1.08,9, დ. დიაკონაშვილი (ბაკურიანი) — 1.10,0.

კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე

ჟენევა, 16 იანვარი. „ვერნეს“ ყინულის სარბიელზე დღეს საღამოს საბჭოთა ფიგურისტების სრული ტრიუმფით დამთავრდა სპორტულ ცეკვებში ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობა — ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური საბჭოთა მოცეკვავე წყვილებმა დაიკავეს.

კონტინენტის ჩემპიონთა წოდება მეექვსედ მოიხვეჭეს ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა, რომლებმაც 210,54 ქულა დააგროვეს (ადგილების ჯამი — 9). ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ი. მოისეევა და ა. მინენკოვი — 203,44 (19), ხოლო ბრინჯაოსი — ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი — 200,74 (30).

„ლელოს“ წერილის კვალდაკვალ

„პასუხს სამმართველოდან ელიან“

ამ სათაურით „ლელოს“ 4 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა მე-4 დისტანცია იმის გამო, რომ თბილისის „ლოკომოტივის“ სანიჩბოსნო სადგურის კეთილმოწყობის სამუშაოები დაუმთავრებელია, ფიზკულტურელთა სახლის რემონტი დაბალ დონეზე გაკეთდა, ხოლო ამავე სახლის საშტატო ერთეულები არადანიშნულებისამებრაა გამოყენებული.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. ყორყოლაძე რედაქციას ატყობინებს, რომ გზის ხელმძღვანელობამ შეისწავლა და განიხილა წერილში მოყვანილი ფაქტები. დადგინდა, რომ 1975 წელს „ლოკომოტივის“ სპორტული ბაზების რემონტისთვის გარკვეული მუშაობა ჩატარდა, მაგრამ, როგორც წერილში იყო აღნიშნული, ზოგიერთი სამუშაო არ დამთავრებულა, ან უხარისხოდ შესრულდა.

კაპიტალურ შეკეთებათა 1976 წლის გეგმაში გათვალისწინებული იქნება ყველა აუცილებელი სამუშაოს შესრულება. რაც შეეხება ფიზკულტურელთა სახლის შტატების გამოყენებას, ეს საკითხი უკვე მოგვარებულია საშტატო განრიგისა და დაფინანსების დაშვებული წესის დაცვით,

მაია ჩიბურდანიძე და გარი კასპაროვი — სსრ კავშირის ჩემპიონები

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატები. დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრების დასკვნითი, IX ტურის შეხვედრებმა, რომლებსაც ქვეყნის ჩემპიონები უნდა დაესახელებინა.

გოგონათა ტურნირში ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტ. მინოგინა (მოსკოვი) — მ. ჩიბურდანიძის, ნ. ჩხაიძე — რ. ეიდელსონისა (ბელორუსია) და ნ. რუჩიევა (მოსკოვი) — ლ. პოლნაროვას (რსფსრ) შეხვედრებს.

დაძაბულ თამაშში გაიმარჯვა ჩიბურდანიძემ და 8 ქულით სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. საინტერესოა, რომ იმ დღეს მაიას 15 წელი შეუსრულდა.

შეხვედრები მოიგეს ეიდელსონმაც და რუჩიევამაც. პირველმა 7,5 ქულით II ადგილი დაიკავა, მეორემ — 6,5 ქულით — III ადგილი.

ჭაბუკთა შორის საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის სახელის მაძიებელთა ჭიდილი უკიდურესობამდე დაიძაბა. გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდათ გ. კასპაროვს (ბაქო), რ. გაბდრახმანოვს (ყაზანი) და ზ. სტურუას.

სტურუა და გაბდრახმანოვი ერთმანეთს შეხვდნენ. თბილისელმა მოჭადრაკემ კარგად გამოიყენა მეტოქის უზუსტობანი და გაიმარჯვა. მან 7 ქულა დააგროვა, გაბდრახმანოვს კი 6,5 ქულა დარჩა.

კასპაროვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ზ. ლანკასთან (ლატვია) და მასაც 7 ქულა გაუხდა. აზერბაიჯანის მოჭადრაკეს, 12 წლის გარი კასპაროვს კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა და ჭაბუკებში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მას მიეკუთვნა. II ადგილი სტურუას ხვდა.

III-IV ადგილები გაიყვეს გაბდრახმანოვმა და ა. ვასილენკომ (ტაშკენტი) — 6,5-6,5.

ვულოცავთ მაია ჩიბურდანიძესა და ზურაბ სტურუას ესოდენ დიდ წარმატებას!

თ. ნინოშვილი.

ფინიში ჰასტინგსში

ჰასტინგსში დამთავრდა ტრადიციული საახალწლო საერთაშორისო ტურნირი. I-III ადგილები გაიყვეს დ. ბრონშტეინმა, ვ. ულმანმა (გდრ) და ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) — 10-10 ქულა. IV ადგილზეა ვ. კორჩნოი — 9,5. დასკვნით ტურში მან სძლია ინგლისელ ა. მაილსს. ულმანი დაუზავდა მ. ტაიმანოვს, ბრონშტეინი კი — ჰორტს. ტაიმანოვმა 8 ქულა მოაგროვა.

ქალებმაც აღნიშნეს

უდროოდ გარდაცვლილი გამოჩენილი ესტონელი დიდოსტატის პ. კერესის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად ტალინის საჭადრაკო კლუბში ვაჟთა ტურნირის (აქ I ადგილი დაიკავა ა. გიპსლისმა — 7 ქულა 9-დან, II — მ. ტალმა — 6,5) პარალელურად მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებაც გაიმართა. მეტოქენი ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. I-II ადგილები გაიყვეს ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) და ტ. ფომინამ (ტალინი) — 4-4 ქულა. III ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ბელავენეცი (მოსკოვი) — 2,5, IV — სსრ კავშირის სოფლის მოჭადრაკეთა ჩემპიონი მ. სამულე (ტალინი) — 1,5.

იცნობდეთ: იასერ სეირავანი

ეს ამერიკელი მოჭადრაკე მხოლოდ 14 წლისაა. შარშან აშშ-ს ღია ჩემპიონატში ამ ყმაწვილმა ოსტატის ნორმა შეასრულა და სახელიც გაითქვა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მას პოზიციაში წვდომის, რთული ვარიანტების გათვლის კარგი უნარი და უპირატესობის გამოყენების მაღალი ტექნიკა აქვს. ჩემპიონატში სეირავანმა დაამარცხა დიდოსტატი ა. ბისგაიერი.

ამერიკელები ჭაბუკი ოსტატისგან დიდ წარმატებებს მოელიან.

ფიზკულტურისა
და სპორტის
რესპუბლიკურ
კომიტეტში

როგორ ემზადებიან?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ გუშინწინ თავის სხდომაზე მოისმინა ინფორმაციები თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების წინასასეზონო მზადების შესახებ.

ინფორმაციით გამოვიდნენ თბილისელთა მწვრთნელი ს. ქუტივაძე და ქუთაისელთა მწვრთნელი გ. სორდია. მათ დამსწრეებს უამბეს გუნდების საწვრთნელ მზადებაზე და გეგმებზე სეზონის წინ.

კოლეგიის სხდომას ესწრებოდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ა. ერიომინი.

მწვრთნელებმა პასუხები გასცეს მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

მე-2 ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მე-2 ტირაჟისა, რომელიც 14 იანვარს მოეწყო მოსკოვში.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი გამოიცნო ორმა კაცმა (მოსკოვსა და ხაბაროვსკში). თითოეული 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 614 მანეთია (373), ოთხისთვის — 25 (13398), სამისთვის — 3 (197531).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი გამოიცნო კრასნოდარის ერთმა მცხოვრებმა. იგი 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1765 მანეთია (75 ბილეთი), ოთხისთვის — 45 (3021), სამისთვის — 3 (59006).

მოგებული თანხა გაიცემა 25 იანვრიდან 25 თებერვლის ჩათვლით. (საკდესი).

ვანო ფირცხალაიშვილი

იგი მოულოდნელად გამოაკლდა ჩვენს რიგებს და ყველას დაგვწყვიტა გული. ამ ქვეყნად სიკეთისა და პატიოსნების მქადაგებლად იყო მოსული, მაგრამ არ დასცალდა. 47 წლის ასაკში ტრაგიკულად შეწყდა ვანო ნიკოლოზის ძე ფირცხალაიშვილის ცხოვრება.

საყვარელ სპორტს — კლასიკურ ჭიდაობას იგი სამამულო ომის შემდეგ წლებში ეზიარა სახელმოხვეჭილი მწვრთნელის პეტრე იორდანიშვილის ხელმძღვანელობით. ახალბედა მოჭიდავეს თვალწინ ჰქონდა მაშინ უკვე გამოცდილი ოსტატების ვასილ ილურიძის, დავით ციმაკურიძის, ვალარშაკ მაჩკალიანისა და სხვათა მაგალითები. იგი ხარბად დაეწაფა საჭიდაო ანბანის შესწავლას, უფროსი თაობის მოჭიდავეთა ოსტატობით გატაცებული.

ეს იყო ჩვენი ჭიდაობისთვის სახელოვანი პერიოდი. გივი კარტოზია და ავთანდილ სიხარულიძე, ვალიკო ვეშაგური და ჯიმშერ ყორეყაშვილი, ვანო ფირცხალაიშვილი და ბევრი კიდევ სხვა ნიჭიერი მოჭიდავე იმთავითვე მყარ ნიადაგზე მდგარნი აღმოჩნდნენ და მთელი შემდგომი მუშაობა ჩვენი ჭიდაობის პოპულარიზაციის საქმეს მოახმარეს.

ნიჭი მუდამ აზრხებს გაფურჩქვნას, თუ ხელშემწყობი პირობები არსებობს. ჯერ კიდევ გამოუცდელი ვანო ჭიდაობის მხურვალე პატრიოტი გახდა და, ვინაიდან კარგი აღმზრდელიც ჰყავდა, ნელ-ნელა შეუდგა საჭიდაო მწვერვალების დაპყრობას. 1947 წელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში მან საკავშირო გუნდური პირველობა მოიგო. იყო ამიერკავკასიისა და სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების თბილისისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, უფროსთა საკავშირო პირველობის პრიზიორი. ამ და სხვა წარმატებებისთვის ვანო ფირცხალაიშვილმა ახალგაზრდა თაობის მოჭიდავეთა შორის ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება. იგი რამდენიმეჯერ იყო სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების წევრი.

ვანო ფირცხალაიშვილი მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მხარში ედგა ჩვენს საჭიდაო ცხოვრებას, აქტიურად იბრძოდა ნიჭიერ ათლეტთა აღმოჩენა-გამოვლენისთვის. სწორედ მან პირველმა მიიყვანა საჭიდაო დარბაზში დღეს უკვე ცნობილი ოსტატი ნ. მოდებაძე და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი.

მაგრამ მისი მთავარი ღირსება მაინც ადამიანურ თვისებებში უნდა ვეძებოთ. ხალასი გულის, უაღრესად კეთილი, პრინციპული და პატიოსანი ადამიანი, სიმართლის უსიტყვო მსახური იყო სპორტშიც, ყოველდღიურ საქმიანობაშიც, ადამიანებთან ურთიერთობაშიც. ამიტომ ორმაგად მძიმეა ჩვენთვის ეს დანაკლისი.

საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველო;
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.

„ფეხბურთი და მე“

ასე ჰქვია განთქმული ფრანგი ფეხბურთელის რაიმონ კოპას მოგონებების წიგნს, რომელიც ვარშავის „სპორტი ი ტურისტიკამ“ გამოსცა. დიდ ინტერესს იწვევს მოგონებათა ის ნაწილი, სადაც კოპა თავისი დროის უდიდეს ფეხბურთელებზე ლაპარაკობს.

კოპა წერს, რომ პელეს პირადად არ იცნობს, მაგრამ მისი მონაწილეობით ბევრი მატჩი უნახავს, დაწყებული მსოფლიოს VI ჩემპიონატიდან, როცა პელე ის იყო გადიოდა დიდ გზაზე, დამთავრებული მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატით.

— პელე ჭეშმარიტად მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი იყო, — წერს კოპა. — მას შეეძლო ისეთი პოზიციიდან გაეტანა ბურთი, რასაც სხვა ვერავინ მოახერხებდა. პელეს თამაში ჩემთვის მუდამ გარკვეულ გამოცანას წარმოადგენდა. ბრაზილიელ ფეხბურთელს უდავოდ პირველ ადგილს მივაკუთვნებ, მათგან, ვისი თამაშიც პირადად მინახავს ჩემი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე.

მეორე ადგილი, კოპას აზრით, უნგრელ ფერენც პუშკაშს უნდა მიეკუთვნოს. „გულშემატკივრებს შორის გავრცელებული იყო აზრი, რომ პუშკაში ხეირიანად მხოლოდ ცალ ფეხს ხმარობდა, მარცხენას, მაგრამ ჯობს მოთამაშეს ერთი ასეთი ფეხი ჰქონდეს, ვიდრე ორი... საშუალო“.

მესამე ადგილს წიგნის ავტორი ალფრედო დი სტეფანოს აკუთვნებს. უფრო სწორად, მისი აზრით, ამ სამეულს — პელეს, პუშკაშსა და დი სტეფანოს დაახლოებით თანაბარი შეფასება უნდა მიეცეს, თუმცა თითოეულს თავისი უპირატესობები ჰქონდა. კერძოდ, დი სტეფანო თანაბრად ძლიერი იყო როგორც წინა ხაზზე, შეტევისას, ისე დაცვითი ოპერაციების დროსაც. „იგი მინდვრის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახლდათ“. კოპას დი სტეფანო გუნდის ჩინებულ კაპიტნად მიაჩნია.

მეოთხე ადგილს კოპა უნგრელ ბოჟიკს აკუთვნებს. მას ყველაფერი ჰქონდა, რაც უმაღლესი კლასის ნახევარმცველს შეეფერება: ტექნიკა, ინტელექტი, თამაშის გაგება, დახვეწილი ოსტატობა.

„მეხუთე ადგილზე გარინჩას ვაყენებ“. კოპას მიაჩნია, რომ 1958 წლის შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში, როცა ყველა პელეზე ლაპარაკობდა და ხოტბას ასხამდა, ის კი არ იყო ბრაზილიელთა უპირველესი მოთამაშე, არამედ გარინჩა, მათი სული და გული.

შემდეგ ადგილზეა იაშინი. „დიდი, შეუდარებელი ლევ იაშინი, საუკეთესო მეკარე მათგან, ვინც კი ოდესმე მინახავს“. კოპა იგონებს, როგორ თამაშობდა იგი მსოფლიოს ნაკრებში იაშინთან ერთად 1963 წელს ლონდონში ინგლისელთა წინააღმდეგ.

მომდევნო ადგილს კოპა უთმობს ლადისლაო კუბალას, ერთადერთს ფეხბურთის ისტორიაში, რომელსაც სამ ეროვნულ ნაკრებში უთამაშია: ჩეხოსლოვაკიის (კუბალა ეროვნებით სლოვაკია), უნგრეთისა და ესპანეთის გუნდებში. ეს ცენტრალური თავდამსხმელი ტექნიკითა და ინტელექტით დი სტეფანოს ჩამოჰგავდა.

ფრანგი ფეხბურთელი დიდი სიამოვნებით იგონებს ინგლისელ სტენლი მეტიუზს, რომელსაც „ფეხბურთის არისტოკრატსა და რაინდს“ უწოდებს. კოპამ მონაწილეობა მიიღო ამხანაგურ მატჩში, სადაც მისი გუნდის წინააღმდეგ უკვე საკმაოდ ხანდაზმული სტენლი მეტიუზი გამოდიოდა. ცხადია, მას უკვე აღარ შეეძლო უწინდელი დატვირთვით თამაში, მაგრამ, როცა სტენლი „ჩაერთვებოდა“, ცხადი ხდებოდა მისი უდიდესი ხელოვნება.

„მინდა მოვიგონო ჩემი ძველი მეგობარი ჰენტო“. კოპა მაღალ შეფასებას აძლევს ამ ფეხბურთელს, მის დიდ სისწრაფეს. „როცა ჰენტო ჩართავდა სრულ სისწრაფეს, მისი შეჩერება შეუძლებელი გახლდათ“. იყო თუ არა „რეალის“ მარცხენა გარემარბი დიდი ფეხბურთელი? ამ შეკითხვაზე კოპა მაინც უარყოფითად უპასუხებს და დაასკვნის, რომ საამისოდ რეაქტიულ გარემარბს მაინც აკლდა ინტელექტი.

„ბრაზილიელმა ჟერსონმა, ჩემი აზრით, მაინც ვერ მოიპოვა ისეთი სახელი, როგორის ღირსიც იყო“. კოპას ძალიან მოსწონდა მისი ტექნიკა, თამაშის გაგება. „იგი შეუდარებელი ნახევარმცველი იყო, ფრიად სასარგებლო მოთამაშე“.

ფეხბურთელების შეფასებიდან კოპა დიდი გუნდების დახასიათებაზე გადადის. „უფრო იოლია დიდი გუნდის შეფასება, ვიდრე დიდი ფეხბურთელისა. ჩემი დროის უძლიერესი გუნდი იყო მადრიდის „რეალი“, უძლეველი კოლექტივი“. კოპა იგონებს იმ დროს, როდესაც იგი მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში თამაშობდა. სამი სეზონის განმავლობაში მადრიდელებმა საკუთარ მინდორზე წააგეს სულ ერთი მატჩი. ამ წაგების შემდეგ, მეორე დღეს, დიდი ამბები დატრიალდა. მოთამაშეებს გაავეთრებული სანტიაგო ბერნაბეუ მიუვარდა — „რეალის“ პრეზიდენტი, და საშინელი სიტყვებით გამოლანძღა ისინი. ბერნაბეუ განსაკუთრებით იმიტომ იყო გაწიწმატებული, რომ „რეალი“ დამარცხდა უახლოეს მეტოქესთან — „ბარსელონასთან“. იმ წლებში „რეალის“ ყველაზე სერიოზული მეტოქე ბუდაპეშტის „ჰონვედი“ იყო. უნგრელების დაცვა საერთო ანგარიშით მაინც ჩამოუვარდებოდა „რეალისას“.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კოპაზე ბრაზილიის „სანტოსის“ თამაშმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იქ კუტინიო — პელეს დუეტი გამოდიოდა.

რაც შეეხება ნაკრებ გუნდებს, აქ კოპა განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ბრაზილიელების 1958 და 1970 წლების კოლექტივებს. მათ შორის ჩამოიტოვეს ყველა დანარჩენი ნაკრები. აი, ის საკითხი კი, თუ რომელი უფრო ძლიერი იყო ბრაზილიის ამ ორ ნაკრებს შორის, ძნელი გადასაწყვეტია. „მათ შორის, განსხვავება უმნიშვნელოა, ფეხბურთელები შეიცვალნენ, მაგრამ თამაშის სტილი უცვლელი დარჩა. მე მაინც მგონია, რომ ბრაზილიის ნაკრები, რომელიც 1958 წელს შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, უფრო სოლიდური, უკეთ დაკომპლექტებული იყო“.

გ. გამრეკელი.

პრეს-კონფერენცია მონრეალში

1975 წლის მიწურულს მონრეალში პრეს-კონფერენცია გამართა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ჟ. რუსომ. პრეს-კონფერენციის ორგანიზატორებმა თავისუფლად ანგარიში ჩააბარეს ჟურნალისტებს ოლიმპიური მზადების თაობაზე. 1975 წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა დადებითად შეფასდა, თუმცა პრეს-კონფერენციაზე ისიც აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი მუშაობაა სამომავლოდ დარჩენილი. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ილაპარაკა ოლიმპიადის ფინანსურ მხარეზეც. აღინიშნა, რომ უკვე იყიდება 4 მილიონზე მეტი ბილეთი. ჯერ მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში და ამერიკის კონტინენტის რამდენიმე ქვეყანაში 20 მილიონი დოლარის ბილეთებია გაყიდული.

მონრეალს უკვე დღეს შეუძლია მიიღოს 235 ათასი სტუმარი. მათთვის განკუთვნილია აღჭურვილი ოლიმპიური სტადიონიდან 85 მილ რადიუსში. ორგანიზატორების ვარაუდით, ოლიმპიურ შეჯიბრებებს ყოველდღიურად 110-120 ათასი მაყურებელი დაესწრება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის
სპორტის
სასახლე

ხელბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. 18 იანვარი. „ალუმინშჩიკი“ (ზაპოროჟიე) — „უნივერსიტეტი“ (კრასნოდარი). დასაწყისი 18 ს. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — სავაჭრო ინსტიტუტი (მოსკოვი). 19 ს. 20 წთ. 19 იანვარი. აკ (ლვოვი) — „ალუმინშჩიკი“. 18 ს. „უნივერსიტეტი“ — „ბურევესტნიკი“. 19 ს. 20 წთ.

გაზეთი გამოდის [illegible]
რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. გამომცემლობა — თბილისი, [illegible]
ტელეფონები: რედაქტორი — 93-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: [illegible] — 93-97-55, [illegible] — 93-56-47, 93-97-53, [illegible] — 93-84-71, 93-97-56, [illegible] — 93-97-57, [illegible] — 93-97-54, [illegible] — 93-97-59, [illegible] — 93-97-58, [illegible] — 93-93-84, [illegible] — 93-97-49.